F 349
2000
ეროვნული ბიბლიოთეკა



ყმაწვილი უნდა სწავლობდეს
საცნობლად თავისადაო:
ვინ არის, სიდამ მოსულა,
სად არის, წავა სადაო?

# დილა

№2-3, 2000 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთელი ჩემი ცხოვრება „დილაა“!

ცხოვრებით დადასტურებული ფაქტია: ჯერ პატარები იღვიძებენ და მერე მათი მშობლები!

ამიტომ, ბავშვებო, სანამ უფროსებს სძინავთ, ჩვენ თქვენს საყვარელ ჟურნალზე გიამბობთ.

გასულ წელს „დილას“ 95 წელი შეუსრულდა!

ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს საქართველოში ძნელად თუ დაასახელებ ოჯახს, სადაც ჩვენს ჟურნალს თუნდაც ერთხელ მაინც არ შეეღოს კარი!

მეტის თქმაც შეიძლება, მეოცე საუკუნის საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა თაობა ჟურნალ „დილის“ ფურცლებზეა აღზრდილი! ერთი სიტყვით, მთელი ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა დღე და საათი, ჟურნალს თქვენზე არ ეფიქროს!

ჩემო პატარებო! თქვენი ჟურნალი უხუცესია იმ ჟურნალებს შორის, რომლებიც საქართველოში დღემდე უწყვეტად გამოდის!

ამ მართლაც საოცარ ჟურნალს ყოველთვის ღირსეული პიროვნებები რედაქტორობდნენ! აი, ისინიც: მარიამ დემურია, ნინო ნაკაშიძე, ირაკლი აბაშიძე, გიორგი კაჭახიძე, ბაბო ჭაჭიაშვილი, ლავრენტი ჭიჭინაძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, ჯანსულ ჩარკვიანი, მუხრან მაჭავარიანი, ენვერ ნიჟარაძე, რეზო ინანიშვილი, თენგიზ ჩალაური და...

მადლობას ვწირავ უფალს, ამ, მართლაც უკვდავი ჟურნალის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე, მისი რედაქტორობა მეც რომ მარგუნა წილად, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც სხვა დროსაც მითქვამს, „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ მეღირსებოდა!“

დღეს ჩემთვის დილაც „დილა“, შუადღეც „დილა“ და საღამოც „დილაა!“

ერთი სიტყვით, მთელი ჩემი ცხოვრება „დილაა!“

ამასთანავე, ჩემთვის ჟურნალი „დილა“ მარადიული ჯეჯილობისა და სულიერი დაპურების უპირველესი სიმბოლოც გახლავთ!...

პატარა მკითხველებო! ჟურნალის ეს ნომერიც, როგორც ყოველთვის, განსაკუთრებულია — მასში დაბეჭდილი ყოველი ლექსი, მოთხრობა თუ ზღაპარი „დილის“ იმ რედაქტორებს ეკუთვნით, რომლებიც სხვადასხვა დროს ედგნენ ჟურნალს სათავეში.

ასე რომ, ბავშვებო! უკვე დროა, თქვენი მშობლებიც გააღვიძოთ და თუ „დილა“ ჯერ კიდევ არ შეუძენიათ, სასწრაფოდ აყიდინეთ! წასაკითხი კი ჟურნალში მართლაც ბევრია — ჭკუის სასწავლიც და თავშესაქცევიც!

ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს თქვენთვის ყოველი დილა და „დილის“ ახალი ნომერი!

*დოდო წივწივაძე*

# ლოკოკინა და აბრეშუმის ჭია

ზღაპარი

(თარგმანი)





**მარიამ დემურია**

დაიბადა 1860 წ.
ჟურნალს
რედაქტორობდა
1904-10 წწ
გარდაიცვალა 1910 წ.

F343
2000

ერთხელ ლოკოკინა და აბრეშუმის ჭია ერთმანეთს შეხვდნენ თუთის წვრილ ტოტზედ. ჭია ნელა მიცოცავდა; ლოკოკინამ ის მხოლოდ მაშინ შენიშნა, როდესაც თუთის ფოთოლზედ დაუპირდაპირდა. ორივენი გაჩერდნენ და ერთმანეთს ათვალიერებდნენ.

ლოკოკინას არ მოეწონა ჭუჭყიანი, ნაცრისფერი პატარა გამხდარი ჭია; სამაგიეროდ ჭია აღტაცებით შესცქეროდა ლოკოკინას, რომელიც ბევრად იმაზედ დიდი და მშვენიერი იყო: ბრჭყვიალა ზურგზედ რგვალი სახლი ედგა და შუბლზედ რქები ერხეოდა.

ჯერ ჭია ჩუმად შესცქეროდა, ბოლოს ამჯობინა დალაპარაკებოდა.

– შენ ვინა ხარ? ან რა გქვიან?

ლოკოკინამ ამაყად თავი გადაიხარა და წყნარად უპასუხა:

– ყველა ვალდებულია, რომ მე მიცნობდეს, და თუ შენ არ მიცნობ, გეტყვი, ვინცა ვარ: მე ვარ ლოკოკინა! შე პაწაწინავ, ნუთუ ჩემზედ არაფერი არ გაგიგონია?

– მშვენიერო ლოკოკინავ! მე მხოლოდ ოთხი დღისა ვარ, ქვეყანაზედ ჯერ არაფერი ვიცი. ოჰ, რა ლამაზი სახლი გიდგას ზურგზედ – შიგ ისე შეგიძლია დაიმალო, იქნება, ველარც არავინ გიპოვოს. რქებით ხომ ყველას დააფთხობ. რა დიდი და ღონიერი ხარ! მე კი უღონო, სუსტი და პატარა.

ლოკოკინაც დაეთანხმა:

– მართალია, შენ ძალიან პატარა ხარ.

ჭია დაღონდა, ჩაჩუმდა; ცოტა ხანს შემდეგ ისევ გამოელაპარაკა:

– არ გეშინია, მარტოკა რომ ცხოვრობ?

– რისა უნდა მეშინოდეს? მე მეგობრებსაც კი თავი დავანებე და სრულიად მარტო ვარ.

– რა ბედნიერი ხარ!.. მოდი და ერთად ვიცხოვროთ, ერთს ფოთოლზედ! შენთან აღარაფრისა შემეშინდება.

ლოკოკინა გაჯავრდა და შებღვირა ჭიას:

– არა, ღმერთმა დამიფაროს! მარტო მირჩევნია ვიცხოვრო, ვიდრე შენისთანა უბრალო უმზგავს პაწაწინა ნაცრისფერ ჭიასთან. – და გადაცოცდა მეორე ტოტზედ.

განვლო დრომ. ჭია მოიზარდა, ფერიც იცვალა, ცოტა გათეთრდა, მაგრამ მაინც ეშინოდა მარტოკა ცხოვრებისა და ისევ ლოკოკინას საძებნელად გაემგზავრა.

– მხედავ, გავიზარდე და გავთეთრდი კიდეც, – ალერსით უთხრა ჭიამ: – მშვენიერო ლოკოკინავ, ეხლა მაინც ვიცხოვროთ ერთად!

ლოკოკინამ ზიზღით გადახედა და უთხრა:

– შენისთანა საბრალო ჭიასთან ჯდომაც კი სირცხვილია ჩემთვის. – და ზურგი შეაქცია.

ჭია უკან დაბრუნდა, ლოკოკინასაგან გულდაწყვეტილი.

თანდათან იზრდებოდა, წინანდელი კანის ფერი ეცვლებოდა და, რამდენიც დრო გადიოდა, ღონეც ემატებოდა.

გზაში სიამოვნებით ჰფიქრობდა ჭია:

– ეხლა კი ნამდვილად დამიმეგობრდება ლოკოკინა. ჩემს საგანგებო სახურავთან იმისი ბროლივით თეთრი ნიჟარიც კი ჭუჭყიანი გამოჩნდება!

სამწუხაროდ ლოკოკინამ ამ ჟამადაც არ მოისურვა იმასთან ცხოვრება.

– შენ ისევ ისეთივე უბრალო ჭია ხარ. შენსავით გაშვლეპილი ჭიები მეჯავრება!

საცოდავი ჭია დაღონებული გაშორდა ლოკოკინას, მწარედ დაღვრემილი გაუნძრევლად ტოტზედ იჯდა და ჰფიქრობდა, როდის ეღირსებოდა ფაფუკი, ლამაზი ქურქი.

ამ დროს ლოკოკინა ჩუმად მიცოცდა და თვალყურს ადევნებდა, თანაც ჰფიქრობდა, ჭიამ თუ კიდევ გაიმეორა თავისი სურვილი, ეხლა კი დავთანხმდებიო.

საბრალო ჭია ველარა ჰბედავდა ამაყ ლოკოკინასთან გამოლაპარაკებას.

ლოკოკინა ჩუმად იჯდა და თვალს არ აშორებდა. ის მიხვდა პატარა ჭიის განზრახვას და მალე კარგად გაარჩია, რომ ჭია აკეთებდა კვერცხივით რგვალ სახლსა; თავის გვამისაგანვე იხვევდა წმინდა თეთრ აბრეშუმის ძაფს, ერთმანეთზედ აკოწიწებდა, ქსოვდა.

წინად ლოკოკინას შეეძლო თხელ კედლებში ჭიის დანახ-





ვა, მაგრამ თან-და-თან სახლის კედლები სქელდებოდა და ჭიაც აღარა სჩანდა.

ლოკოკინა იმედს მაინც არ ჰკარგავდა; უკვირდა, კი, რომ ჭია მეგობრობას აღარა სთხოვდა.

ბოლოს ლოკოკინა სახლთან მიცოცდა, შესავალ კარის ძებნა დაიწყო, მაგრამ სახლს კარი არა ჰქონდა. განცვიფრდა ლოკოკინა:

– ეს რა ამბავია? რა უცნაური სახლია? როგორღა უნდა გამოვიდეს, ერთი ბეწვა ჯუჯრუტანაც კი არსადა აქვსო!

დააკვირდა ჭიის ნამუშევარს და ძალიან მოეწონა: ნამდვილ ვერცხლისფერ ლამაზ აბრეშუმის კვერცხსა ჰგავდა ახალი სახლი.

– მშვენიერებაა! – აღტაცებით ამბობდა ლოკოკინა: – რა ლამაზი ფაფუკი, თეთრი აბრეშუმის ქსელით არის გაკეთებული! განა დასაჯერებელია, რომ ეს იმ უბრალო გაშვლეპილმა ჭიამ გააკეთა? ეხლა კი ვნანობ, რომ გავაგდე და შეურაცხყოფა მივაყენე. მერე რა კეთილი და მოსიყვარულე გულისა იყო! – ლოკოკინას მოაგონდა წყნარი თეთრი ჭია, რომელიც ვედრებით შეჰყურებდა:– ძალიან მკაცრად და ამაყად მოვეპყარი, დიდად მომქონდა თავი ჩემი სახლით, მაგრამ იმან ჩემზედ ბევრით უკეთესი სუბუქი სახლი აიშენა.

ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ ლოკოკინა თეთრ რგვალ სახლს მიეკრა და დაუძახა:

– გამოდი, შენი ჭირიმე, ნუ ჯავრობ ჩემზედ! მუდამ მზადა ვარ შენთან ვიცხოვრო. – სახლიდან პასუხი არ ისმოდა.

ჭიამ ყური მოიყრუა, ვითომც არაფერი ესმისო.

– ყველას ვეტყვი, რა მოხერხებული ხარ და როგორ საგანგებო სუბუქ სახლებს აშენებ. ქვეყანას შევატყობინებ, რომ შენ უბრალო ჭია კი არა, საგანგებო და შესანიშნავი რამ ხარ.

ლოკოკინას ძლივ-ძლივობით შეესმა ხმა:

– ვერ გამოვალ გარედ, საშინლად მეძინება... მერე, როცა გამოვფხიზლდები... ეხლა კი ნუ მიშლი, ბევრ ხანს მსურს ძილი, – და ჭიამ ისევ დაიძინა.

– რასაკვირველია, დაიღლებოდა ამდენ ჯაფის შემდეგ, ხუმრობაა ამისთანა მშვენიერ სახლის მოქსელვა! დაე, ეძინოს. მე აქ მოვუცდი!.. იძინე, იძინე, ჩემო ჭკვიანო ჭიავ. როცა გაიღვიძებ და ჩემთან გამოხვალ, მაშინ ერთად ვიცხოვრებთ...

ლოკოკინამ სახლის ახლო მოიკალათა და ვიდრე ჭიას გაეღვიძებოდა, ისე იჯდა სულ-განაბული, რომ რქებსაც კი იშვიათად არხევდა. იგონებდა სანატრელ დროს, პირველად რომ გაიცნო საკვირველი ჭია.

– ღმერთო ჩემო, მაშინ რა პატარა, გამხდარი, ჭუჭყიანი იყო! რა საშინლად ეშინოდა მარტოდ ცხოვრებისა და მფარველობას მთხოვდა. მე სულელი კი არ ვიკარებდი! ნეტავი, რისთვის? მერე მარტოობა რა ნაირ მოწყენილი მქონდა!

რამდენმა დრომ განვლო, ლოკოკინამ არ იცოდა, მაგრამ ბოლოს სახლიდან ფაჩა-ფუჩი მოესმა, გული შეუტოკდა და ახლო მიცოცდა.

სახლის ერთ მხარეს პატარა ჯუჯრუტანა გამოჩნდა, რომელიც თანდათან განივრდებოდა. ჯუჯრუტანაში ვიღაცა გამოჩნდა: ვინ იყო, ლოკოკინა ვეღარა სცნობდა. წინანდელ თეთრ ჭიას აღარაფრითა ჰგავდა, მარტო თვალების მსგავსება-ღა შერჩენოდა. ლოკოკინა წამსვე დარწმუნდა, რომ წინანდელი ჭია პეპელად გადაქცეულიყო.

პეპელა სახლის ზემოდ იჯდა და ისწორებდა მოცახცახე დაჭმუჭნულ ფრთებს. ლოკოკინას ისე შეხედა, თითქო ვეღარა სცნობსო.

გახარებული ლოკოკინა დაელაპარაკა:

– ძლივს არ გაიღვიძე! ეხლა წინანდელ ჭიასთან აღარაფერი მზგავსება არა გაქვს. შენ სწორედ მშვენიერი პეპელა ხარ. ნუღარ მიჯავრდები, ერთ ფურცელზედ ვიცხოვროთ! საფლავამდე მეყვარები...

პეპელამ ლოკოკინას სიტყვა გააწყვეტინა და გაკვირვებით მიიბრუნა იმისკენ ლამაზი თავი, თან თეთრი ფრთები გაისწორა.

– რისთვის უნდა გიჯავრდებოდე, არ მესმის. შენ ამბობ, რომ წინად მე ჭია ვიყავი, – იქნება ეგრეც იყო, მაგრამ მე კი აღარაფერი არ მახსოვს! მხოლოდ ვიცი, ეხლა პეპელა ვარ და არ შემიძლია ერთად ცხოვრება საზიზღარ მცოცავ ლოკოკინასთან. მე ფრენა მსურს, მზის ნახვა და მზის სხივებში თამაშობა. ფრთები გამიშრა... ვდგები და მივფრინავ. რა კარგია ფრენა! მშვიდობით, ლოკოკინავ!

დარჩა ლოკოკინა მარტოკა და გულჩათხრობილი შესცქეროდა დაცარიელებულ ყაჭის პარკს.

პეპლის ჰაერში ნავარდობა თურმე ოცნება იყო: აფრენით კი აფრინდა, მაგრამ იმავ თუთის ხის სხვა ტოტზე დაჯდა – ამხანაგი მონახა.

*„ნაკადული №1-2, 1904 წ.*



მხატვარი ნანა სანაია

# მეგობრები



**ნინო ნაკაშიძე**

დაიბადა 1872 წ.
ჟურნალს რედაქტორობდა
1911-20 წწ.
1921-32 წლებში კი იყო
სარედაქციო კოლეგიის
წევრი
გარდაიცვალა 1963 წ.



გაზაფხულდა. მზემ გამოაშუქა, დედამიწას გაუცინა და გაათბო, ქალი და კაცი სამუშაოდ გამოვიდა მინდვრებში, ზვარში, ბოსტანში, სახლში მხოლოდ ბებერი, თეთრწვერა პაპა და პატარა ბავშვები დარჩნენ.

მზემ პაპაც გამოიყვანა გარეთ. პაპამ სახლის გვერდით მზეზე მოიკალათა და პატარ-პატარა ფიცრების გამოჭრას შეუდგა.

— რას აკეთებ პაპა? — ჰკითხეს შვილიშვილებმა.

— მეგობრებს სახლს ვუშენებ, — მიუგო პაპამ.

პაწია ფიცრებისაგან პაპამ მართლა ააშენა სახლი, სახურავიც გაუკეთა და ერთ პატარა კედელში პატარა მრგვალი კარიც გამოჭრა. შემდეგ სახლი გრძელ ჭოლოკს მიაჭედა.



— რა პატარა სახლია, პაპა. განა შენი მეგობრები ასეთი პატარებია, რომ ამ სახლში მოთავსდნენ და ამ კარში შეეტიონ? — უკვირდათ ბავშვებს.



— რასაკვირველია მოთავსდებიან, რასაკვირველია შეეტევიან. ცოტა დაიცადეთ და თქვენ თვითონ ნახავთ!

პაპამ მაღალი ჭოლოკი თავის სახლის ახლო მიწაში ჩაასო და პატარა კოხტა სახლი მაღლა ჭოლოკის წვერზე წამოჭიმა.

ბავშვები ყოველ დილით გამოდიოდნენ ეზოში და მოუთმენლად მოელოდნენ პაპას მეგობრებს.

მზის სხივებმა ნუშის და ტყემლის ხეებიც გააცინა და ყვავილებით მოკაზმა. ბალახი მწვანედ ააბიბინა. კოლმეურნეობის მინდვრებში ტრაქტორები ააგუგუნა, — მწყემსის სალამურიააწკრიალა...

ერთ დილას, როდესაც ბავშვები გამოცვივდნენ სახლიდან, დაინახეს პაპას სახლზე ორი შავი ჩიტუნა იჯდა და მხიარულად ჟღურტულებდა.

— პაპა, გამოვიცანით რომ შენი მეგობრები შოშიები ყოფილან! — ყვიროდნენ გახარებული ბავშვები.

პაპაც დაჯდა თავის სახლის გვერდით მზეზე და გაცინებული შესცქეროდა შოშიებს, უხაროდა რომ ჩიტუნებს მისი გაკეთებული სახლი მოეწონათ.

*„დილა" №8, 1947 წ.*

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკლესია - ღვთის სახლი

ნანა ჩარკვიანი

მხატვარი კახაბერ ასლანიშვილი

## მიწა - საიდუმლო

ყველამ ვიცით, რა არის მიწა, მაგრამ, მოდი, მაინც ვთქვათ, რა არის მიწა.

მიწა არის ის, რაზეც დავდივართ. მიწა არის მაგარი, უფროსების ენით თუ ვიტყვით – მყარი. მიწაზე ჩვენ შეგვიძლია მყარად დგომა. აი, მაგალითად, წყალზე ვერ გაივლი, იმიტომ რომ ჩაიძირები. თუ ცურვა იცი, შეიძლება გაცურო, მაგრამ გამართული, ფეხზე მდგარი, მაინც ვერ გაივლი. ალბათ



შეგიმჩნევიათ, მიწაზე გამართული სიარული როგორ უხარიათ პატარა ბავშვებს, რომლებსაც მანამდე მხოლოდ ცოცვა ან ფორთხვა შეეძლოთ. როცა ბავშვი სიარულს სწავლობს, ის უკვე აღარ არის ჩვილი, მასზე იტყვიან – უკვე დიდი გოგოა ან დიდი ბიჭიაო. ამ სიხარულს ჩვენ ყველა განვიცდით პატარაობისას, მაგრამ შემდეგ ეს განცდა თანდათან გვავიწყდება.

მიწაზე დგას ჩვენი სახლი;

მიწა, სადაც ცხოვრობენ ჩვენი მშობლები, მეგობრები, ნათესავები, ჩვენი სამშობლოა. ჩვენი სამშობლოა მიწა, სადაც დგას მრავალი ტაძარი, სადაც ჩვენ ერთად ვმადლობთ ღმერთს – მამას, ძეს – იესო ქრისტეს და სულიწმიდას, რომ მოგვანიჭა სიცოცხლე, გაგვიმზადა საცხოვრებლად მიწა, გამშვენებული მცენარეებით, ცხოველებით, ადამიანებით.

საოცარია, ერთი შეხედვით, მიწა არის უხეში, უსახური, უსიცოცხლო, მაგრამ მასში მოხვედრილი თესლი ღივდება და ამოიწვერება ბალახის სიფრიფანა და ფაქიზი ღერები, ამოიზრდება ფერადი, მშვენიერი ყვავილები, გემრიელი ნაყოფით დახუნძლული ხეები. ჩვენ, ადამიანები, მცენარეებით ვიკვებებით, ხმელ ტოტებს ვიყენებთ ცეცხლის დასანთებად, ხისგან ვაკეთებთ ავეჯს, ქაღალდს, ვაშენებთ სახლებს.

ხეები შეიძლება იზრდებოდეს ადამიანის მზრუნველობის გარეშე, ველური ცხოველების მსგავსად. ასეთ ხეებს ერთად ეწოდება ტყე. ტყეში გაზრდილი ვაშლის, მსხლისა თუ ვაზის ნაყოფი ძალიან წვრილი და მჟავეა. იმ მიწაზე გაზრდილი ხეები, რომელსაც ადამიანი უვლის, ამუშავებს, რწყავს, დიდსა და ტკბილ ნაყოფს ისხამს. ასეთ „შინაურ“ ხეებს ერთად ეწოდება ბაღი.

პირველი ადამიანები ღმერთმა ბაღში დაასახლა, სამოთხე სწორედ ბაღს ნიშნავს. ადამსა და ევას ბაღის მოვლა და დაცვა ევალებოდათ. შემდეგ მათ მთელი დანარჩენი მიწა სამოთხედ უნდა ექციათ.

მიწა შეიძლება იყოს უდაბური, მიწა შეიძლება იქცეს უდაბნოდ. უდაბურია მიწა, რომელზეც ადამიანი არ ცხოვრობს. უდაბნოა იქ, სადაც არ არის წყალი და სადაც ცოცხალი ვერაფერი ხარობს. მიწას თითქოს წყალი აცოცხლებს.

მოდით, ახლა ასეთი რამ ვთქვათ: რამდენიმე ნიჩაბი მიწა რომ ამოვთხაროთ, წყალი დავასხათ და ავურიოთ, ის ტალახად იქცევა, მაგრამ დედამიწა სულაც

არ არის ტალახიანი. ბუნებაში მიწა და წყალი შეურევლადაც არსებობს. მიწიდან ამოედინება წყაროები, მდინარეები, მიწის უზარმაზარ ღრმულებს ავსებს ზღვები და ოკეანეები. მიწაც და წყალიც ღმერთის სიტყვას ემორჩილებიან. ბიბლიაში წერია: „და თქუა ღმერთმა შეკერბინ (ე.ი. შეიკრიბოს, დაგროვდეს) წყალი ქუეშე ცისა შესაკრებელსა ერთსა, და გამოჩნდინ ხმელი (ანუ ხმელეთი, მიწა) და იქმნა ეგრეთ.“

მიწაში ჩამარხულია ადამიანისათვის სასარგებლო უამრავი სიმდიდრე: სხვადასხვა ჯიშის ქვა, რომლითაც ვაგებთ სახლებს თუ ტაძრებს; ნავთობი თუ ქვანახშირი, რასაც ვიყენებთ სახლებისა თუ სამსახურების, ბაღებისა თუ სკოლების გასათბობად და გასანათებლად; სხვადასხვა სახის ლითონი, რომლისგანაც კეთდება მანქანები და გემები, თვითმფრინავები და კოსმოსური ხომალდები; მიწიდან ვიღებთ ძვირფას ქვებს, რომლითაც ვირთვებით, ვამკობთ ხატებს, ჯვრებს, ტაძრებს.

მთლიანად მიწა, ყველაფერი რაც მასშია და მისგან ამოედინება თუ ამოიზრდება, ადამიანს ემსახურება. თავად ადამიანიც ღმერთმა მიწისაგან შექმნა. ადამიანი შედგება იმავე ნივთიერებებისაგან, რომლისგანაც შედგება მიწა. ე.ი. ადამიანი მიწის პატრონიც არის და მიწის ნათესავიც, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ბიბლია ასე იწყება: „დასაბამიდან ღმერთმა ქმნა ცა და ქუეყანა“.

ქვეყანა არის მიწა, წყლით, მცენარეებით, ცხოველებითა თუ ადამიანებით. მაგრამ ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ქვეყანა. ადამიანს ღმერთმა მისცა სული. ქვეყანაზე მხოლოდ ადამიანს შეუძლია მეტყველება (ე.ი. საუბარი), სიყვარული, ღმერთის ცნობა. ამიტომ ადამიანი არა მხოლოდ მიწის „ნათესავია“, არამედ ის ზეცის, ღმერთის „ნათესავიც“ არის. ადამიანში არის „ცაც“ და „ქუეყანაც“.

ბიბლიაში ცა ნიშნავს არა მხოლოდ ღრუბლებსა და ვარსკვლავებს, არამედ – ანგელოზებისა და თავად ღმერთის სამყოფს.

ღმერთმა ცა და ქვეყანა შექმნა როგორც ერთი მთელი სამყარო, მაგრამ ადამიანის ცოდვები ხლეჩს მას ცალკე ცად და ცალკე ქვეყნად. ზეცის გარეშე ქვეყანა ემსგავსება არა ტკბილი ნაყოფით დახუნძლულ ბაღს, არამედ მწარე ნაყოფგამოსხმულ ველურ ტყეს, ემსგავსება უდაბურ, უწყლო, უსიცოცხლო უდაბნოს, უსულო მკვდარ ადამიანს.

რადგან ადამიანი სულიერი არსებაც არის და მიწიერიც, მისი საქმეა ცოდვით გახლეჩილი სამყაროს გამთელება. ეს შეძლო ღმერთკაცმა იესო ქრისტემ. ის ზეციდან გადმოვიდა, ეკლესიური ენით თუ ვიტყვით, გარდამოხდა მიწაზე, მიწიდან ჩაეშვა ჯოჯოხეთში, დაამარცხა სიკვდილი, აღდგა მკვდრეთით და ამაღლდა ზეცად.

მიწა და ზეცა ქრისტეს ძალით მთლიანდება ეკლესიაში. მიწისა და ზეცის შეერთება საკუთარ თავში უნდა დავიწყოთ. როგორო? – იკითხავთ თქვენ. ეს არის საიდუმლო. და მას გვასწავლის ეკლესია. ღმერთმა ინებოს ჩვენი ზიარება ამ საიდუმლოსთან! ამინ.




თუ მოცემულ საგნებს
შესაბამისი ფერებით გააფერადებ, მიიღებ
ცისარტყელას შვიდ ფერს. შემდეგ თანმიმდევრობით
გააფერადე ცისარტყელაც.

ნინო ჩაკვეტაძე


ვანო გოგიბერიძე

# ეს რა ლამაზ ქვეყანაში გამოვიღვიძეთ!


ქეთი ბანძავა


სანდრიკა ჯიბლაძე


მარიამ ქალდანი


ნიკო ლემონჯავა


მარიამ ქალიაშვილი


ნიკოლოზ ნინიკაშვილი


ნინო ღონღაძე


ნიკა მელაძე


მეგი მაღრაძე


გიორგი ფოფხაძე


თათული ლომიძე


ნიკა გონაშვილი


დალი ნანეიშვილი


ნიკა კუპრეიშვილი


ნინუცა კვიტაიშვილი


ლილიკო ხოსონაშვილი


ელენე კვატაშიძე


ლუკა ოქრუაშვილი


ნანა ჯანდიერი


ზურაბ მაჩაბელი



ეროვნული ბიბლიოთეკა



## ირაკლი აბაშიძე

დაიბადა 1909 წ.
ჟურნალს რედაქტორობდა 1933-34 წწ.
გარდაიცვალა 1992 წ.



## ზურაბის ჩივილი

ყველა, ყველა მაწუხებს,-
ნუნუ, ბელა, თამრიკო:
- უფრო მეტად ვინ გიყვარს
დედიკო თუ მამიკო?

ყველას, ყველას ვპასუხობ,
მაგრამ ვერვინ გამიგო:
- უფრო მეტად ვინ მიყვარს?
დედიკო და მამიკო.

-სულ ეგ არის, რაც არის,
სულ რაც იყო, ეგ იყო?!
მაინც, მაინც რომელი,
მამიკო, თუ დედიკო?

- რა ვქნა? ამ შეკითხვებმა
ლამის გული წამიღოს...
მამიკოც და დედიკოც,
დედიკოც და მამიკოც,
დაიკოც!

*„დილა“ №6, 1954 წ.*

## ამას ვნატრობდი

დღედაღამ ამას ვნატრობდი,
ჩქარა გამიღეთ კარები,
მეც მოწაფე ვარ; სკოლისკენ
პირველად მივეჩქარები.
შენ სად მიდიხარ მურიავ!
როდემდის გტუქსო, როდემდის?
ის დრო წავიდა, გეთაყვა,
ყველგან რომ უკან მომდევდი.
სექტემბრის დილა გათენდა,
ბალღებს უხმობენ სკოლები;
მერხებთან ჩარიგებულნი
მელიან ჩემი ტოლები.
ზოგი რამ ცოდნაც მიმყვება -
ჩემი დედიკოს წყალობა:
თვლაც კარგი ვიცი, ანბანიც,
ცოტა ხატვაც და გალობაც.
ხელს არ ვითხუპნი პასტითა,
თავს მირჩევნია წიგნები;
სკოლისკენ მიმეჩქარება...
სულ ხუთოსანი ვიქნები.

*„დილა“ №9, 1981 წ.*



მხატვარი
თამაზ ხუციშვილი



**გიორგი კაჭახიძე**
დაიბადა 1907 წ.
ჟურნალს რედაქტორობდა 1935-36 წწ.
გარდაიცვალა 1979 წ.

## თამაში

მზემ ჩიტები აამღერა,
ეზო სიოს ჩურჩულმა;
მოლზე ხტუნვით გამოვიდა
გიას ლეკვი ბუნჩულა.

სადაც ტალახს თვალი მოჰკრა,
ფეხი არ დააკარა...
გზაზე კნუტი გადაუდგა,
ხატაურა ჰატარა.

როგორ ხარო? - მიესალმა.
- მოდი, გეთამაშები!-
გაგორდნენ და გამოგორდნენ,
როგორც ცელქი ბავშვები.

კრუხმა დედალს წასჩურჩულა:
- ამათ დედებს რა მოჰკლავს!-
უცაბედად ფისომ მმობილს
ცხვირზე კლანჭი ჩამოჰკრა.

დახეთ ლეკვი, გიას ლეკვი,
მე რომ წყნარი მეგონა,
უცებ ისე გაგულისდა,
კბილით ეცა მეგობარს.

ჩხუბიაო, ჩხუბიაო!-
იხვმა მორთო განგაში...
გულსატკენად ჩაიშალა
გულითადი თამაში.

*„დილა" №6, 1963 წ.*



## ვირის ჭკუა

იგავი

ვირი და ცხენი მინდვრად მუხის ჩრდილში იდგნენ და სიცხით შეწუხებულნი კუდებით ბუზებს იგერიებდნენ. მოულოდნელად მათ ახლო კურდღელმა გაიცანცალა და ბუჩქნარში მიიმალა.

- ნეტავ ვინ იყო? - იკითხა ცხენმა.

- არ ვიცი, ჯერ არსად შემხვედრია. ისე კი შევატყვე, დიდი ჭკუის მქონე იქნება.

- ასე უცბად როგორ შეატყვე?

- იმასაც ჩემსავით გრძელი ყურები ჰქონდა! - უპასუხა ვირმა.

*„დილა" №8, 1945 წ.*



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბაბო ჭაჭიაშვილი**
დაიბადა 1907 წ.
ჟურნალს რედაქტორობდა 1936-37 წწ.
გარდაიცვალა 1996წ.



# ბავშვების საყვარელი მწერალი

„შვლის ნუკრის ნაამბობი". ვის არ წაუკითხავს ეს ლამაზად დაწერილი მოთხრობა და განა ისე დაუმთავრებია, რომ თვალები ცრემლებს არ დაესველებინოს? ხომ პატარაა იგი, სულ რამდენიმე გვერდი, მაგრამ ვერასოდეს ვერ ივიწყებთ აცრემლებულ უმწეო ცხოველს.

ავტორი ისე დამაჯერებლად მოგითხრობთ შვლის ნუკრის თავგადასავალს, რომ, როცა კითხულობთ, გგონიათ, ნუკრმა მართლა ენა ამოიდგა და აკანკალებულის ხმით თავის გაწამებულ ყოფას გიამბობსთ... და თქვენც უსმენთ, უსმენთ სულგანაბული.

იშვიათია მოთხრობა, რომელსაც ისე აეთრთოლებინოს პატარა მკითხველების გულები, როგორც „შვლის ნუკრის ნაამბობი" ათრთოლებს მათ. მისი ავტორი ბავშვების საყვარელი მწერალი ვაჟა-ფშაველაა. ვაჟას ნორჩი მკითხველები მარტო ამ მოთხრობით როდი იცნობენ. ბევრმა ზეპირადაც კი იცის მისი „არწივი". დაკოდილი არწივი, რომელიც „ყვავ-ყორნებს ეომებოდა, ეწადა ბჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა", - სიბრალულით ავსებს ბავშვის მგრძნობიარე გულს.

ვაჟა შეუდარებელია ბუნების აღწერაში. რაღაც ნათესაური, მშობლიური რამ კავშირი აერთებს მას ბუნებასთან, ტყუილად კი არ ეუბნება მთებს, ბალახებს, ყვავილებს: „თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ ღალიან-ბარაქიანი...". ან კიდევ ...„მეც მიგემებავ იგივ რძე, რითაც თქვენ დაიზარდენით..."

ვაჟას ყველა ნაწარმოებიდან უბრალოებასა და სისადავეში ჩაქსოვილ ბუნების მოვლენათა ღრმა განცდას ამოიკითხავთ და ეს აძლევს მის ლექსს, თუ მოთხრობას მაღალმხატვრულ ღირსებას.

აი თუნდ მისი ლექსი „უნუგეშო ყოფნა" ავიღოთ. ბნელ ხევში ამოსული ია დიდ ჭადარს დაუფარავს, ყვავილს მზის სხივები ვეღარ სწვდებიან და ჭკნება, ხმება იგი და ეს მაშინ, როდესაც „სხვა ყვავილთა გუნდი სამოთხეს ედარებოდა".

ხომ არაფერია აქ უჩვეულო, უბრალო ამბავია სრულიად, მაგრამ ვაჟა მთელი არსებით განიცდის მომაკვდავ იას მდგომარეობას, სულიერ ტკივილს იწვევს მასში ის, რომ „სხვანი ლხინობენ, მას (იას) მიწა ეფარებოდა". ხმელი წიფელის ბედიც ასევე აღელვებს მას.

„მთის წყარო", „კლდე და მდინარე", „ფესვები", „ქუჩი", „ჩხიკვთა ქორწილი", „ხმელი წიფელი", „ია" და სხვა საბავშვო ლექსები და მოთხრობები ვაჟასთვის ჩვეული ნაზი სიყვარულითაა დაწერილი და ეს სინაზე, ეს სითბო გადადის მკითხველზედაც. პატარა მკითხველები ყოველთვის სიამოვნებით წაიკითხავენ მათ.

ვაჟამ სრულიად ახალი თემა შეიტანა ქართულს პოეზიაში, მთის პოეზია მანამდე უცნობი ან თითქმის უცნობი იყო ქართულ მხატვრულ ლიტერატურისათვის. მისი დიდი დამსახურებაა ისიც, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ხალხური ლექსი, თქმულება თუ ზღაპარი შეკრიბა მთაში და თავისებურად გადაამუშავა ისინი.

წელს ვაჟას გარდაცვალებიდან 20 წელი შესრულდა, ამ წლის აღსანიშნავად ეწყობა ვაჟას გამოფენა, შეკრებილია ახალი მასალები მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობიდან.

ნორჩი მკითხველებიც აღნიშნავენ ძია ვაჟას გარდაცვალების 20 წლის თავს, ისინი წაიკითხავენ და შეისწავლიან ვაჟას საბავშვო ნაწარმოებთ, მოემზადებიან მისი შემოქმედების საფუძვლიანად შესწავლისათვის.

აი რით შეუძლიანთ გამოხატონ მათ სიყვარული და პატივისცემა საყვარელ მწერლისადმი.

*„ოქტომბრელი" №10, 1935 წ.*



# მიწისქვეშეთის საოცრებანი

ქართველი ბიბლიოთეკა

გვინდა გიამბოთ მიწისქვეშეთის საოცრებებზე — კარსტულ მღვიმეებზე. იცით, რა არის მღვიმე? ეს არის ვრცელი მიწისქვეშა სიღრუე, რომელიც უხსოვარ დროს წარმოიქმნა წყალში ხსნადი ქანების გადარეცხვით. ალბათ, გაინტერესებთ, რატომ ჰქვია მიწისქვეშა ქვაბულებს კარსტული მღვიმეები. სიტყვა „კარსტი“ მომდინარეობს იუგოსლავია-იტალიის საზღვარზე, დინარის მთებში მდებარე კირქვოვანი პლატოს სახელწოდებისაგან და ნიშნავს რელიეფის, ანუ მიწის ზედაპირის თავისებურ ფორმას იქ, სადაც ნიადაგი შედგება მსხვილმარცვლოვანი ხსნადი ქანებისაგან. ეს არის ძაბრისებრი ჩაღრმავებები, ქვაბულები და მღვიმეები.

ახლა წარმოიდგინეთ მიწის ქვეშ ციცაბოდ დაშვებული, ზოგჯერ მრავალსართულიანი, ზოგჯერ ათეულობით კილომეტრზე განფენილი ბუნებრივი დერეფნები და დარბაზები, სადაც შეიძლება შეგხვდეთ მდინარეები, ტბები და ჩანჩქერები, ქვის „ფარდები“ ანდა „ნაკეცები“, ვეება ყინულის მსგავსი სვეტები, ეგრეთ წოდებული სტალაგმიტები და გიგანტური „ლოლუები“ — სტალაქტიტები.



მღვიმეების მშვენება — სტალაქტიტები და სტალაგმიტები — თაღიდან ჩამონაწვეთი კირიანი წყლისაგან არის გაჩენილი. თვალით შეუმჩნეველი ნაპრალებიდან წვეთ-წვეთად გამონაჟონი წყალი საუკუნეთა მანძილზე გაქვავებულა და ულამაზეს წარმონაქმნებად ქცეულა. სახელი კი მათ უფრო გვიან დაარქვა დანიელმა ბუნებისმეტყველმა ოლას ვორმამ (სტალაქტოს ბერძნულად ჩამონაწვეთს ნიშნავს, სტალაგმოს — წვეთს).

განა საოცრება არ არის ბუნების მიერ შექმნილი ეს ზღაპრული სამყარო?

ახლა სხვა საოცრებაც ვთქვათ. დიდი, დიდი ხნის წინათ, პირველყოფილი ადამიანები თავშესაფარს ეძებდნენ, რომ ზამთარში ყინვისაგან დაეცვათ თავი და ზაფხულში სიცხისაგან. თავშესაფრის ძებნაში მღვიმეებს მიაკვლიეს, მაგრამ იქ უშველებელი დათვები დახვდნენ და ადამიანები შიგ არ შეუშვეს. დათვსა და ადამიანს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ადამიანის გამარჯვებით დამთავრდა. მღვიმის დათვი გადაშენდა, ადამიანები კი მათ გამოქვაბულებში დასახლდნენ; მღვიმის შესასვლელთან, სინათლესთან მიმსხდარებმა ქვით ქვა ამოამტვრიეს, თავი წაუწვეტეს და სანადირო და საკვების მოსაპოვებელი იარაღი გააკეთეს; მერე ქვის ქვაზე ხახუნით ცეცხლი მოიპოვეს და იქაურობა გაანათეს...



ისიც საოცრებაა, რომ მღვიმეებში ჰაერის ტემპერატურა ძირითადად მდგრადია და ნაკლებად იცვლება წელიწადის დროისა და ამინდის მიხედვით. მაგალითად, წყალტუბოს „თეთრ მღვიმეში“ ტემპერატურა მუდამ 12-13 გრადუსია, გინდაც გარეთ პაპანაქება სიცხე ან აუტანელი ყინვა იყოს. არის თბილი, ცივი, გამჭოლი მღვიმეები. ამასთან ჰაერი მღვიმეში განსაკუთრებით სუფთაა და მავნე მიკრობებს თითქმის არ შეიცავს. ეს ალბათ იმიტომ, რომ ჰაერი გამოქვაბულში ძირითადად მის კედლებში არსებული ფორების გავლით შედის, ესე იგი იფილტრება (სუფთავდება). ამ თვისებების გამო მღვიმეებში წარმატებით მკურნალობენ ზოგიერთ დაავადებას, მაგალითად, ბრონქულ ასთმას, ჰიპერტონიას, ნევროზებს და ა. შ. ასე რომ, პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებელმა დღეს სამკურნალო მნიშვნელობა შეიძინა. და განა მარტო ეს! — მღვიმეებს იყენებენ წყალმომარაგებისათვის, მაცივარსათავსებად, ტურიზმისათვის. ესეც ხომ საოცრებაა!

კიდევ ერთი საოცრება: დედამიწაზე უძველესი ხელოვნება მღვიმური მხატვრობაა. პირველი მხატვარი და მოქანდაკე პირველყოფილი ადამიანი იყო. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მღვიმეების კედლებზე შემორჩენილია კაცთა მოდგმის შორეული წინაპრების განსაცვიფრებელი ნახელავი.

**ნიკო ხატიაშვილი**

# ბიჭები



ლავრენტი ჭიჭინაძე
დაიბადა 1906 წ.
ჟურნალს
რედაქტორობდა
1937-40 წწ.
გარდაიცვალა 1997 წ.

პაპა გაბოს სოფლის განაპირას ჰქონდა ბოსტანი.

ბოსტანი რომ კარგი იყო, ამაში პაპა გაბოსთან ერთად მის შვილიშვილს, პატარა ზალიკოსაც ედო წილი. როგორც თვითონ იყო პატარა, თოხიც ისეთი პაწია ჰქონდა. წყლის ტოტს ხან ერთ კვალს მიუგდებდა, ხან — მეორეს.

ბოსტნის თავში ყარაულივით გადმომდგარი მსხალი რომ შემწიფდა, პაპა გაბომ მის ძირში ძაღლი დააბა, არავინ შეიპაროს და მსხალი არ გამიკრიფოსო. მურიაც თითქოს მიხვდაო, უცხოს რომ დაინახავდა, სულ იღრინებოდა.

ერთხელ მოზრდილმა ბიჭებმა ზალიკოს უთხრეს:

— არ გეცოდება განა შენი კარგი მურია, სულ დაბმული რომ გყავს? აუშვი, გაინავარდოს, ხომ არაფერი დაუშავებია, რას ერჩი!

ზალიკოს შეეცოდა ძაღლი, მაშინვე გაიქცა და აუშვა. გახარებული მურია ენაგადმოგდებული შინ გაიქცა.

მეორე დღეს პაპა გაბომ გაკრეფილი მსხალი რომ დაინახა, ზალიკოს უთხრა:

— ნეტავ ვინ აუშვა ძაღლი?

— მე, პაპა გაბო.

— რატომ?

— ბიჭებმა მითხრეს, ცოდვაა დაბმული რომ არისო.

— მერე! შენც დაუჯერე და აუშვი არა? რატომ ვერ მიხვდი, რომ იმათ ძაღლი კი არ ეცოდებოდათ, მსხლის ჯავრი ჰქონიათ!



მხატვარი ვახო ქურდიანი

*„დილა“ №12, 1962 წ.*

## ბავშვთა შემოქმედება



### კვატი იგორეკი



იყო დედა კვატი. ჰყავდა ათი შვილი, რომლებსაც ყოველ დილით რვა საათზე სკოლაში აცილებდა. კვატი იგორეკი ყოველთვის უკან რჩებოდა. არ ვიცით, პატარა ფეხები ჰქონდა თუ, უბრალოდ, სკოლაში დაგვიანება უნდოდა.

ერთ დღეს გზაში იგორეკს ჭია-მაია დააჯდა კისერზე და ისე კოხტად მოკალათდა, თითქოს გაფრენას აღარც აპირებსო. იგორეკი შეწუხდა, ფრთების ქნევას მოჰყვა, ფეხები ააბაკუნა, მაგრამ ნურას უკცრავად. დედა კვატმა ეს ვერ შეამჩნია და გზა გაარძელა. მარტოდ დარჩენილმა იგორეკმა ბევრი იტირა, ვეღარც დედას წამოეწია. ამ გასაჭირში იყო, როცა შემთხვევით კრუხმა იპოვა, გაუკვირდა მარტო რომ დაინახა. მოეფერა, დაამშვიდა და სკოლაში წაიყვანა. გზაში იგორეკმა გულამოსკვნით უამბო თავისი ამბავი, ამასობაში ჭია-მაიას მობეზრდა ბუმბულში ნებივრობა და გაფრინდა. სკოლის წინ იდგა ბატონი დირექტორი და შეწუხებული კვატი თავისი შვილებით.

გახარებული იგორეკი დედას გადაეხვია და ჭია-მაიას ამბავი მოუყვა.

პოლონურიდან თარგმნა IV კლასის მოსწავლემ



თამთა როყვა
5 წლის

***

ჭია-ჭია მაია,
ძლივს გიპოვე ზღაპარში...
ისევ მოდი, ბაია,
სალამურას კარავში.



## რევაზ მარგიანი

დაიბადა 1916 წ.
ჟურნალს
რედაქტორობდა
1945-57 წწ.
გარდაიცვალა 1984 წ.

# შემოდგომის ძღვენი

– ცეცხლმოდებული ატამი
და დაბინდული ქლიავი,
მობრძანდა, უკვე მობრძანდა!-
გვეჩურჩულება ნიავი.
-ჩაშაქრებული ყურძენი,
შეწითლებული ვაშლები,
მობრძანდა, უკვე მობრძანდა!-
შემოგვძახიან ბავშვები.
ლეღვს გაუხსნია ტუჩები,
მზეზე ტკბებიან ლეღვები,
– მიირთვით, ტკბილად
შეგერგოთ!-
გვეუბნებიან გლეხები.
შეგვცქერენ პირდაფჩენილი
ლამაზი ბროწეულები,
თითქოს ატლასით შემკულნი
ზეიმზე მოწვეულები.
ყვითლად რომ ჩანან ხეებზე
და თითქოს მზეზე დნებიან,
ბავშვები გვეუბნებიან:
– ეს ხომ გულაბი მსხლებია!
როგორც წითელი საყურე
ბუჩქებს ლამაზად ჰკიდია,-
სისხლივით არის წითელი,
დამწიფებული შინდია!
ხეზე რომ მრავლად ასხია
თითქოს პატარა ზღარბია,
ჯერ არც კი დამწიფებულა –
უსაყვარლესი წაბლია!
კომშს შეხე, ყვითლად ელვარებს,
ჩვენამდე აღწევს სურნელი,
– მიირთვით, ტკბილად შეგერგოთ!-
ამბობენ კოლმეურნენი.
ზოგი ფოთლებში ელვარებს
და ზოგსაც თითქოს რცხვენია,
ზოგი ვერ მალავს სიწითლეს,
ზოგს პირი დაუბჩენია!
დედავ, რამდენი ხილია,
პატარებს მოულხენიათ...
– თქვენც კარგად მოგეხსენებათ,
ხილი თუ ვისი მღვენია!

*„დილა“ №10, 1953 წ.*

მხატვარი
ვაჟა ქურხული

# ბავშვები და შემოდგომა

ხილით, ლხინით, ზეიმით
შემოდგომა მოვიდა.
- შემოდგომავ, გვითხარი,
მობრძანდები შორიდან?

- არა, ჩემო კარგებო,
შორი მგზავრი როდი ვარ.
თქვენი ვენახებიდან,
ბაღებიდან მოვდივარ!

- გვითხარ; ასე ბარაქით
ნეტა ვინ დაგამშვენა?
- ვინა? თქვენი მშობლების
დაუღლელმა მარჯვენამ!

- გვითხარ, რა მოგვიტანე,
აგრემც შემოგევლებით?
- პაპის ხელით მოწვდილი
დაშაქრული მტევნები,

მოსავალი ულევი,
თვალით ჯერ არ ნახული,
ნარინჯები კოლხური,
ჩურჩხელები კახური.

- ჩვენგან რაღას მოითხოვ,
შემოდგომავ, ლამაზო?
- მინდა, კარგად ისწავლოთ,
მინდა, არ იზარმაცოთ.

მერმისს, როცა ოქროსფრად
კვლავ მოგირთავთ ვენახებს,
შემდეგ კალათში ხუთებით
გადასული მენახეთ!

*„დილა“ №10, 1949 წ.*





**იოსებ ნონეშვილი**

**დაიბადა 1918 წ. ჟურნალს რედაქტორობდა 1957-63 წწ. გარდაიცვალა 1980წ.**

# მეც ხომ უკვე მოწაფე ვარ...

პაწიას რომ მეძახოდით,
აღარა ვარ პაწია,
მეც ხომ უკვე მოწაფე ვარ,
მეც ხომ ფორმა მაცვია...

სკოლაში სულ ადრე მივალ,
მკვირცხლი, დაუზარელი.
იქ დილ-დილით წკრიალებენ,
ტიტინებენ ზარები;

იქ ბავშვებით აივსება
ფრთაკრიალა მერხები,
იქ ჩემს აღმზრდელ
მასწავლებელს
წიგნით ხელში შევხვდები.

რა ლურჯთვალა დილა არის,
რა საამო დარია...
განი, ბიჭო... მეც სკოლაში
მივალ, მიმიხარია!

*„დილა“ №9, 1949 წ.*

მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საფრანგეთი

ჩემო პატარა! ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ჟიულ ვერნმა შესანიშნავი წიგნი დაგვიტოვა — „5 კვირა საჰაერო ბურთზე“. ამ წიგნის მკითხველს საინტერესო მოგზაურობა ელის სხვადასხვა ქვეყანაში. ჟურნალმა „დილამ“ თქვენთვის დირიჟაბლის ნაცვლად ჯადოსნური ხალიჩა შეარჩია. მფრინავი ხალიჩის უპირატესობა ისაა, რომ იგი შეუზღუდავია დროსა და სივრცეში. ასე, რომ თქვენ შეგიძლიათ ნებისმიერ ქვეყანაში და ნებისმიერ დროში ამოჰყოთ თავი.

აბა, კეთილი გზა და ზურგის ქარი ამ საინტერესო მოგზაურობაში!

## უდიდესი მუზეუმი

სახელწოდება ლუვრი დაკავშირებულია სიტყვა „Louve“-სთან, რაც ძუ მგელს ნიშნავს. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, იგი გულისხმობს ლეგენდარულ სამგლეთს, ოდესღაც ამ ადგილებში რომ მდებარეობდა.

ლუვრი აგებულია 1190 წელს ფილიპ ავგუსტის მიერ. ასეული წლების განმავლობაში კომპლექსი თანდათან იზრდებოდა და მშვენიერდებოდა. მეფე ჰენრიხ IV ერთ-ერთ დარბაზში, — „დიდ გალერეაში“, — იმ დროის სახელგანთქმული ოსტატები მოიწვია და ფერწერაში, ქანდაკებაში, საიუველირო თუ ხელოვნების სხვა დარგებში შედევრების შექმნა დაავალა.

1678 წელს საფრანგეთის დიდი მეფის ლუდოვიკო XIV სამეფო ოჯახი ლუვრიდან ვერსალში გადავიდა, ლუვრი კი, იმ დროიდან მსოფლიოს შედევრებისა და განძეულობის მუზეუმად და საცავად იქცა.

დღეს ლუვრი მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი მუზეუმია. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, აქ თავმოყრილია გენიალური მხატვრების — ფრანსისკო გოიას, რაფაელის, დელაკრუას, რუბენსის, რემბრანდტის, ექსპრესიონისტებისა და იმპრესიონისტების ფერწერული შედევრები. აქ არის ლეონარდო და ვინჩის განუმეორებელი „ჯოკონდა“ — ფლორენციელი ვაჭრის ფრანჩესკო დელა ჯოკონდოს მეუღლის მონა ლიზას პორტრეტი.

## უდიდესი ტაძარი

საფრანგეთის გოტიკურ ტაძრებს შორის პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი მკაცრი სიდიადით გამოირჩევა.

როცა მის მთლიან, ჰარმონიულ ანსამბლს უყურებ, ვერ დაიჯერებ, რომ ტაძარი 200 წლის მანძილზე შენდებოდა.

მშენებლობა 1163 წელს, ეპისკოპოს მორის დე სიულის დროს დაიწყო და საძირკვლის პირველი ქვა რომის პაპმა ალექსანდრე III ჩადო. ტაძარი მეფის, ეპისკოპოსებისა და უბრალო ხალხის შემოწირულობით შენდებოდა და XIV საუკუნის შუახანებისათვის დამთავრდა.

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ხუთქიმიანი ბაზილიკაა. სიგრძე — 130 მ, გუმბათის სიმაღლე — 69 მ. ტაძარში 9 ათასი კაცი ეტევა...

XVIII ს-ის ბოლოსათვის ტაძარი საგანგაშო მდგომარეობაში აღმოჩნდა, იმ წლებში კი, როცა ვიქტორ ჰიუგო თავის ცნობილ რომანს — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს“ წერდა, ძეგლი სრული განადგურების წინაშე იდგა.

1809 წ-დან პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში ინახება ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი რელიკვია — მაცხოვრის ეკლის გვირგვინი.

## უდიდესი წიგნი

იდეალური ნაწარმოების ავტორი უნდა იყოს ბრძენი, კეთილშობილი; სიუჟეტმა მკითხველი ისე უნდა დააინტერესოს, რომ წიგნს ვერ მოსწყდეს; მთავარი მიზანია მოუწოდოს ყველას მაღალი, ჰუმანური მიზნებისაკენ. დასასრულს, წიგნმა ადამიანის სულში ღრმა და ნათელი კვალი უნდა დატოვოს.

ასეთი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ფანტასტი მწერლის ჟიულ ვერნის (1828-1905) წიგნი „საიდუმლო კუნძული“. იგი ტრილოგიის („კაპიტან გრანტის შვილები“, „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“) ბოლო, დამამთავრებელი წიგნია.

მწერალი დაიბადა საფრანგეთის საპორტო ქალაქ ნანტში, ადვოკატის ოჯახში. მამამ მას თავისი პროფესია და წიგნისადმი, მეცნიერებისადმი დიდი სიყვარული უანდერძა.

ჟიულ ვერნი თანამედროვე ლიტერატურაში ახალი მიმართულების — სათავგადასავლო-ფანტასტიკური ჟანრის ფუძემდებლად ითვლება.

## უდიდესი მხედართმთავარი

საფრანგეთის იმპერატორი, ნაპოლეონ ბონაპარტე, ორ ათეულ წელზე მეტს განაგებდა ქვეყნის სამხედრო და პოლიტიკურ ცხოვრებას. მხედრული გენიის წყალობით დაიპყრო კონტინენტის უდიდესი ნაწილი და საფრანგეთის კონტროლს დაუქვემდებარა აზიისა და აფრიკის ქვეყნები. გავლენას ახდენდა მსოფლიოს არმიებსა და ხელისუფლებებზე. მან დაამტკიცა, რომ იყო ყველა დროის ყველაზე გავლენიანი მხედართმთავარი...

დაიბადა აიაჩოში, კუნძულ კორსიკაზე 1769 წ-ის 15 აგვისტოს. ბედმა საფრანგეთის სამხედრო სასწავლებელში მოახვედრა. 16 წლისამ პარიზის აკადემია დაამთავრა არტილერიის უმცროსი ლეიტენანტის წოდებით.

1793 წელს ტულონთან ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლაში, არტილერიის მეთაური მძიმედ დაიჭრა, უფროსობა თავად იტვირთა და ისე მოხერხებულად წარმართა საარტილერიო ცეცხლი, რომ მისმა ტაქტიკამ საფრანგეთის რევოლუციურ ჯარებს გამარჯვება, 24 წლის ოფიცერს კი — დიდება და ბრიგადის გენერლის ჩინი მოუტანა.

1813 წელს საფრანგეთის წინააღმდეგ გაერთიანდა რუსეთი, პრუსია, ბრიტანეთი, შვედეთი. ლაიპციგთან ნაპოლეონი დამარცხდა. ერთი წლის შემდეგ გადააყენეს და კუნძულ ელბაზე გადაასახლეს. 1815 წელს ელბადან გაიქცა და საფრანგეთში ჩავიდა. სამი თვე ისევ ატარებდა იმპერატორის გვირგვინს. 1815 წლის 18 ივნისს ვატერლოოსთან სასტიკად დამარცხდა. დამარცხებული მხედართმთავარი წმ.ელენეს კუნძულზე გადაასახლეს. 1821 წ-ის 5 მაისს 51 წლისა გარდაიცვალა. საფრანგეთში მისი ნეშთი მხოლოდ 1840 წ-ს გადაასვენეს. დაკრძალეს პარიზში, ინვალიდთა სასახლეში.

# მხიარულ დასვენებას და გართობას გისურვებთ!



ნანა სანაია

ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გრაფებში ამოიკითხე 9 ზღაპრის გმირის სახელი

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | წ | ი | ქ | ა | რ | ა | ზ | ვ | ი | რ | ა |
| ბ | ა | დ | უ | ყ | ი | ც | წ | თ | კ | ლ | ფ |
| ნ | ე | ტ | კ | ო | ნ | კ | ი | ა | მ | ნ | ი |
| ე | ნ | შ | უ | ბ | ლ | რ | თ | ო | პ | ს | ფ |
| ო | შ | ც | ე | რ | ო | დ | ე | ნ | ა | ტ | ქ |
| კ | ა | თ | ბ | ი | კ | ო | ლ | უ | ფ | უ | ი |
| ო | ს | ნ | ა | ც | ა | რ | ქ | ე | ქ | ი | ა |
| მ | შ | ვ | ა | ბ | წ | ი | უ | ზ | ჯ | ო | პ |
| ბ | ჭ | ა | ო | გ | დ | ო | დ | ყ | ო | ჩ | მ |
| ლ | ხ | ვ | ა | ბ | უ | რ | ა | ტ | ი | ნ | ო |
| ე | ნ | დ | ო | ძ | ე | ლ | ა | ვ | ი | ო | ნ |
| ო | ხ | უ | თ | კ | უ | ნ | ჭ | უ | ლ | ა | ი |

ნინო ჩაქვეთაძე

F8049

თითოეულ ნახატზე გადახაზე ის საგანი, რომელიც არ შეესაბამება დანარჩენს.





რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა?

ედუარდ ამბოკაძე



არ მოკლებოდეთ ბედნიერება
სახეებს თქვენსას,
ღიმილმოფენილთ.
კიდევ მრავალნი ეოფილიყავით
ტოპმოდელებში
„გრან-პრის“ მფლობელი.

მშვენიერება უმეტეს, უფრო
ხშირად ცისკენ გასაგნებელად.
მომბეზრდა ტახტი, დღეს მინდა ვიყო
მინდვრის ნაზი და უცხო ჰეპელა.

ხშირად მეწვევა და გამიტაცებს
ოცნება ჩუმი, ნაზი და წმინდა:
სავარძელი და ტახტი კი არა,
ყვავილები და თამაში მინდა.

მე ვარ ელენე პირმშვენიერი.
ახლა გაცნობის, სწორედ,
რომ დროა,
თქვენ თუ არ იცით,
მშობლები გეტყვით
ჩემმა მშვენებამ რაც უქნა
ტროას.

მომქანცველია გვირგვინი მძიმე
დედოფლის ფარჩა-ოქროსხავშებით.
მე მომენატრა ჟურნალი „დილა“
მარადიული მზით და ბავშვებით.

მე მომენატრა, რომ ვიყო ბავშვი
და მარადიულს ვხვდებოდე
აპრილს.
„დილის“ კონკურსის რომ ვიყო ღირსი,
ტოპმოდელებში მეც ვფლობდე
„გრან-პრის“.

# TOP MODEL

ელენე

დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მაყვალა მრევლიშვილი

დაიბადა 1916 წ.
1953-67 წწ. მუშაობდა მთ. რედაქტორის მოადგილედ და რედაქტორებზე არანაკლები ღვაწლი დასდო „დილას“.
გარდაიცვალა 1992 წ.

## კიკლი-კიკლი



კიკლი -
კიკლი,
კიბესა,
ყურცვიტების ციხესა
ბაჭიები სკუპიან,
მელა კბილებს ილესავს:
- სტაფილო მაქვს
ჩანთითო,
აქეთ ჩამობრძანდითო!
- არ ჩამოვალთ, არაო,
მელა მატყუარაო!

## დილა მშვიდობისა

- ჩიტო, ჩიტო, ნაცარა,
ვის უგალობ, ვისა?
- შენ გიგალობ, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
- მზეო, მზეო, ცხრათვალა,
ვის უცინი, ვისა?
- გაიღვიძე, პატარავ,
დილა მშვიდობისა!
- პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
- შენთვის მინდა, პატარავ,
აბა დამაკვირდი!
- მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები:
დილა მშვიდობისა!



***

გადმოფრინდა
რაინდი,
დაიყივლა:
ყიყლიყო!
ფრთები
ააფართხუნა,
გამოიცან -
ვინ იყო?...

## საწყალი კურდღელი

ეს საწყალი კურდღელი
ძლიერ ავად გაგვიხდა,
არც სტაფილო ჭამა,
ჩამოდნა და გაგვიხდა.

შუბლზე ტილო დავადეთ,
ამოვუგეთ საბანი,
კოვზით გადავაყლაპეთ
უგემური წამალი.

ახლა მალე მორჩები,
არ გაინძრე საბანში;
გელოდებით, უშენოდ
სულ არ გვინდა თამაში.





## მიაბოტებს

დიდი თოვლი მოვიდა,
სპილო იცვამს ბოტებს,
ორი ბოტი არ ყოფნის, -
ოთხით მიაბოტებს.

მხატვარი
ნინო
ჩაკვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჯანსუღ ჩარკვიანი

დაიბადა 1931 წ.
ჟურნალს რედაქტორობდა 1963-67 წწ.





## წვიმა, გუბე და მთვარე

ხეებში ქარი უბერავს,
ქარი უბერავს სარკმელს.
სარკეში მოჩანს ღრუბელი,
გუბეა დიდი სარკე...

ღრუბელი აჩენს წვიმას
და წვიმა აჩენს გუბეს,
ზის ფანჯარასთან ცირა,
ხატავს გუბეს და ღრუბელს.

გუბეში მოჩანს მთვარეც,
მთვარეც დავხატო ზარემ,
მაგრამ რა ვუყო ქარებს,
ახლოს ვერ გავეკარე.

დაუკაკუნებს კარებს,
მერე ფრთებს აუჩქარებს...
და მარტო რჩება გარეთ -
წვიმა, გუბე და მთვარე.

*„დილა“ №9, 1965 წ.*

## თამუნიას ლექსი

დელი, დელი, დელასა,
ვფიცავ ჩემსა ლხენასა,
ნეტაი რა ფასი აქვს
გოგოს მარტოხელასა,
ჩემი კარგი მამია
მირჩევნია ყველასა.

*„დილა“ №7, 1966 წ.*



## სიმღერა

აბა ჩემო მანასეო,
ხან ისე და ხან ასეო,
ბებომ დოქი გამატანა,
წყაროს წყალით ავავსეო.
ხნულში თესლი გადავაგდე,
სამი გავასამასეო.
ჭაჭამ მითხრა, შემოდგომას,
ჭურის ყანას დაგასევო.
მე რა მომკლავს, რა დამაქცევს
ოღონდ შენ ილამაზეო,
ოღონდაც შენ შეიქენი
უფრო კარგი მამაზეო.

## მშვიდობაში

დათუნიას ღონე მისცეს
დიდობაში,
მელაკუდას კუდი მისცეს
ფლიდობაში,
თამუნიამ ხელი ჩაჭყო
კიდობანში,
ხოხბისყელისფერი კაბა...
მშვიდობაში.

*„დილა“ №8, 1965 წ.*



მხატვარი კობა აბულაძე

# მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა!



**მუხრან მაჭავარიანი**

დაიბადა 1929 წ.
ჟურნალს რედაქტორობდა 1967-82 წწ.

ეს ჩემი ლექსი, ბავშვებო,
არც შემოდგომას ეხება,
არც სურათია ზამთრისა,
არც გაზაფხულის შექება.
ეს ლექსი გახლავთ აუგი -
მე გამოვდივარ მაგებით
იმ თქვენი თანატოლების,
იმ თქვენი ამხანაგების,
საუბედუროდ, რომელნიც
ისე აღზრდილნი არიან,
ქართულად ხმას ვერ იღებენ,
რუსულად - გაგიხარია!
რუსულის ცოდნა, იცოცხლე,
სახარბიელო რამ არი,
მაგრამ ეს უნდა იცოდე -
მშობლიურია მთავარი.
ენა არ გაწყენს არც ერთი,
უნდა იცოდე რამდენიც;
ოღონდ არ უნდა დაჰკარგო
ქართული სიტყვის ნათელი!
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.
ვინც არც იცის და არც უნდა
იცოდეს ჩვენი წარსული;
ვინც ვერც ხმას იღებს ქართულად,
არც სხვისი ესმის ქართული.
განა იმისთვის იბრძოდნენ
წარსულში მამა-პაპანი -
დღეს შვილმა აღარ იცოდეს
სისხლით დაცული ანბანი?!
თუკი წინაპარს შანთებით
ვერ დაავიწყეს ქართული,
თუ დღესაც მღერის ქართველი
ფერეიდანში ფანდურით,
შენ აქ რა ღმერთი გაგიწყრა,
ვინ იყო შენი გამზრდელი,
შენი გულისთვის დამიწდა
როცა ამდენი ქართველი?!
მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,
ვინც ვერ ახერხებს ქართულად
წერას, კითხვას და ლაპარაკს.

*„დილა" №6, 1984 წ.*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მითი თუ სინამდვილე?

## ქიმერული არსება

ლუარა გორდიევიჩი

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით მე-20 საუკუნის უკანასკნელი წელი თეთრი დრაკონის წელია.

დრაკონი არავის უნახავს. მასზე მხოლოდ გვსმენია ან ზღაპრებსა და მითებში წაგვიკითხავს. არავინ იცის, იგი ოდესღაც მართლაც არსებობდა, თუ მხოლოდ ადამიანის ფანტაზიის ნაყოფია.

ჩვენი წარმოდგენით დრაკონი (ურჩხული ანუ გველეშაპი) საშინელი, თავზარდამცემი არსებაა. ზღაპრებში წაგიკითხავთ, ზღვის მბრძანებელი დრაკონი როგორ ყლაპავს ადამიანებს თავის ნავებიანად. გადმოცემის მიხედვით, ურჩხულს ცეცხლისმფრქვეველი პირი, ბასრი კბილები, ორკაპა ენა, რქები, ბრჭყალები, ფეხები ან ფრთები აქვს. იმავე გადმოცემით იგი გველმა ან ნიანგმა შვა.



**ჩემო პატარა**! დაუკვირდი წმინდა გიორგის ხატს – გლახაკთა დამხმარე, სნეულთა მკურნალი, ტყვეთა განმათავისუფლებელი, საქრისტიანოს უპირველესი და უდიდესი წმინდანი, დიდმოწამე რაინდი მახვილით როგორ გმირავს ურჩხულს!

უძველეს დროში კოლხეთის უძლეველი მეფე აიეტი იმითაც იყო ცნობილი, რომ ოქროს საწმისს ფლობდა. ამ ძვირფას საგანძურს კოლხთა მეფე არესის ჭალაში მალავდა და მას სწორედ ცეცხლისმფრქვეველი დრაკონი იცავდა. ვის არ უცდია ამ განძის ხელში ჩაგდება. არგონავტებმაც სცადეს ოქროს საწმისის მოტაცება და მხოლოდ ღალატით მიაღწიეს მიზანს.

აღმოსავლეთის ქვეყნებში დრაკონი უმაღლესი ძალისა და სიკეთის სიმბოლოდ მიაჩნიათ. ჩინელებს დღესაც სწამთ ამ მისტიკური და სასწაულებრივი ქმნილების არსებობა. მათთვის დრაკონი ღვთაებრივი არსებაა. ვერც გავამტყუნებთ: ყოველ ხალხს თავისი ტრადიცია აქვს და მას არ ღალატობს. დრაკონი, ჩინელების აზრით, სიმდიდრის, სათნოების, ზნეობის, ჰარმონიის მომტანია. იგი გვალვისას წვიმას უგზავნის ადამიანებს; მისი მგრგვინავი ხმა ქარიშხალს ერწყმის, ზამთრისაგან მიძინებულ, მისუსტებულ ტყეს აღვიძებს და გაზაფხულის მოსვლას აუწყებს ქვეყნიერებას. დრაკონი ცხოვრობს ზღვაში ან ხმელეთზე, თუმცა ცაში აფრენაც შეუძლია და გაუჩინარების უნარიც აქვს.

დრაკონი ჩინელი მხატვრების საყვარელი თემაა. ჩინელთა სახლებსა თუ ტაძრებში ხშირად ნახავთ ამ ქიმერულ არსებათა გამოსახულებებს.

ჩინელთა აზრით, არსებობს დრაკონის სხვადასხვა სახეობა: ციური, რომელიც იცავს ღმერთების სამყოფელს; სულიერი – ადამიანთა საკეთილდღეოდ ქარისა და წვიმის წარმომქმნელი; ფრთიანი, რქიანი დრაკონი – საგანძურის მცველი.

დრაკონის თანამედროვე სახესხვაობა, მითიური წინაპრისაგან ძალიან განსხვავებულია და გავრცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებულია სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ტროპიკულ ტყეებში. მისი საკვები მერცხალია. სმენა არ გააჩნია. საყოველთაოდ მიღებული აზრით, იგი, როგორც წმინდა ცხოველი, თავისი ნებით კვდება.

აღმოსავლეთის ქვეყნებში დრაკონი საკარნავალო ფიგურაა. დღესასწაული და კარნავალი წარმოუდგენელია მის გარეშე. დღესასწაულის შემდეგ მას წვავენ, მაგრამ, ვითარცა ფენიქსი, კვლავ აღდგება ფერფლისაგან.

ამ ქიმერულ არსებას ცეცხლი უყვარს. მოერიდეთ ხანძარს! იმხიარულეთ, რადგან დრაკონს ძალიან მოსწონს მხიარულება.



ჩემო პატარა! ალბათ, მიმიხვდი, რაც უნდა მეთქვა. თუ დრაკონის წელს დაიბადე, ნუ იქნები ჯიუტი და ფიცხი, შენ ხომ ისედაც ძლიერი და დღეგრძელი ხარ! დასძლიე შენი პატივმოყვარეობა. ყოველ საქმეში შეგიძლია დიდ წარმატებას მიაღწიო. იარე წინ! გამარჯვება გელოდება, მაგრამ ერთი რამ იცოდე, პატარა მეგობარო: მიზანს რომ მიაღწიო – სიზარმაცე უნდა დაძლიო და იშრომო. შეიყვარე მოყვასი, დახმარების ხელი გაუწოდე. თუ ამ გზით ივლი, ყოველი წელი უეჭველ ბედნიერებას მოგიტანს.

**მხატვარი დაჩი პაპუაშვილი**



# ბავშვთა შემოქმედება





ანი მენაბდე
9 წლის

### ჩემი კაბა

რომ იცოდეთ, რა უშნოა,
ჩემი კაბა ახალი,
მეგობრებში არავის აქვს
ალბათ მისი ბადალი.
სულ არ მინდა კაბის ჩაცმა,
მაგრამ ეგრე სად არის,
დედას უნდა, მამას უნდა,
ჩემი საქმე არ არის.

### პატარა ლეკვი

სახლში ძაღლი მყავს ერთი,
სახელად ჰქვია ლედი,
იცით, რა საყვარელია
ჩემი პატარა ლეკვი?!



მიშიკო ხუნდიაშვილი
6 წლის
55-ე სკოლის
მოსწავლე

***

ზამთარში ცივა ტყეს,
ზამთარში ცივა ველს,
ზამთარში ცივა ზღვას,
ზამთარში ცივა ხალხს.

## გააკეთე შენი ხელით

შენ უკვე იცი, რომ ფანქრის ნათალით სხვადასხვა ნივთების და კოლაჟების დამზადება შეიძლება. თუ დაინტერესდი და ჩვენი რჩევა გაითვალისწინე, სამუშაო მასალის დაგროვებასაც მოასწრებდი. მაშ, საქმეს შევუდგეთ: მოამზადე ფერადი ფანქრები, სათლელი და პლასტელინი.

ფანქრის ნალევზე დაამაგრე პლასტელინის ბურთულა. ამ ბურთულაზე ფრთხილად შემოახვიე ფანქრის ნათალი ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები და სოკოც მზად იქნება. მწვანე პლასტელინით მუყაოს ფურცელზე მოლი გააკეთე და ზედ მწვანე ფანქრის ნათალით ბალახი „ამოიყვანე“. მოგწონს? ამ მშვენიერ მინდორზე ყვავილების „გაშლა“ და პეპლების „აფარფატებაც“ შეიძლება, რასაც „დილის“ მომავალ ნომერში გასწავლი. შეხვედრამდე!



თინიკო
გორელიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯინჯიხაძე
რომანოზ დანელია




# ხალისიანი მათემატიკა

## რიცხვები და ციფრები

რა თქმა უნდა, გაგიგონია, რომ რიცხვების ჩასაწერად ციფრები გამოიყენება. მოდი, კარგად გავერკვეთ იმაში, რა განსხვავებაა რიცხვსა და ციფრს შორის.

შენ უკვე იცი, რიცხვი საგნების რაოდენობას რომ აღნიშნავს, ციფრი კი ნიშანია, სიმბოლოა, რომელიც რიცხვის ჩასაწერად გამოიგონეს. ასოებიც ხომ იმისთვისაა გამოგონილი, რომ ბგერები, სიტყვები და წინადადებები ჩაწერონ. ჰოდა, გახსოვდეს, იწერება არა ციფრი, არამედ რიცხვი. ციფრში ყოველთვის რიცხვი იგულისხმება. ნებისმიერი რიცხვის დასაწერად საკმარისია შემდეგი ათი ციფრი გვქონდეს: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9.




1-დან 9-მდე ყოველი ციფრი გამოხატავს რიცხვს, რომელსაც ერთნიშნა რიცხვი ჰქვია, რადგან ყოველი მათგანი ერთი ციფრითაა ჩაწერილი. პირველი რიცხვი, რომელიც ორი ციფრით ჩაიწერება, არის 10 (ათი) . იგი ორნიშნაა, რადგანაც ორი ციფრითაა ჩაწერილი. ციფრი ხომ ნიშანია?

10 ახალი სათვალავი ერთეულია. ყველა სხვა რიცხვი მისგანაა წარმოებული. ვნახოთ, როგორ ხდება ეს!

10-ის მომდევნო რიცხვია 11. მისი სახელწოდება ასე წარმოიშვა: ათზე ერთით მეტი ⇨ ათ-ერთ-მეტი. დროთა განმავლობაში ა გაქრა და დაგვრჩა თერთმეტი. ასე წარმოიშვა 20-მდე ყველა რიცხვის სახელწოდება. მხოლოდ ორი რიცხვის, 13 -ისა და 17 -ის, სახელწოდებები შეიქმნა ცოტა თავისებურად:

ათზე სამით მეტი ⇨ ათ-სამ-მეტი, ათზე შვიდით მეტი ⇨ ათ-შვიდ-მეტი

პირველში ა დაიკარგა, თ და ს ბგერები ერთმანეთს შეერწყა და გადაიქცა ც-დ, მივიღეთ ცამეტი. მეორეშიც ა დაიკარგა, ხოლო თ და შ ბგერებმა ურთიერთშერწყმის შედეგად მოგვცა ჩ. ასე მივიღეთ ჩვიდმეტი.

გახსოვდეს, რიცხვის სახელწოდებას რიცხვითი სახელი ჰქვია.

მაშასადამე, რიცხვითი სახელების აგებულების მიხედვით გვაქვს:

11 (თერთმეტი) — 10+1 (ათ-ერთ-მეტი),
12 (თორმეტი) — 10+2 (ათ-ორ-მეტი),
13 (ცამეტი) — 10+3 (ათ-სამ-მეტი),
14 (თოთხმეტი) — 10+4 (ათ-ოთხ-მეტი);
15 (თხუთმეტი) — 10+5 (ათ-ხუთ-მეტი)

როგორც ვხედავთ, 10-იდან 20-მდე რიცხვები შეიძლება წარმოვადგინოთ 10-ის (ათეულის) და ერთნიშნა რიცხვის ჯამის სახით. მაგალითად, 16=10+6, 17=10+7 და სხვა. ამბობენ, რომ ჩანაწერში 16, 1 არის ათეულების თანრიგის ციფრი, ხოლო 6 - ერთეულების თანრიგის ციფრი. ე.ი. ორნიშნა რიცხვს ორი თანრიგი აქვს.

შენ, ალბათ, დაგებადა კითხვა: როგორ დავშალოთ 10 ათეულისა და ერთეულების ჯამად? გახსოვდეს, ამ რიცხვის ჩანაწერში 0 აღნიშნავს იმას, რომ ერთეულების თანრიგში ერთეულები არა გვაქვს. აქ მხოლოდ 1 ათეულია. ე.ი. 10 ერთეული იგივე 1 ათეულია.

ასევეა რიცხვი 20. აქ მხოლოდ 2 ათეული გვაქვს.

ჰო, მართლა, კარგი იქნება, თუ დაიმახსოვრებ, რომ რიცხვითი სახელი ოცი დიდი ხნის წინათ გამოითქმოდა, როგორც ორ-ათი. დროთა განმავლობაში ბგერებმა სახე იცვალა და ოცი-ს წარმოშობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

ორი-ათი ⇨ ორ-აცი ⇨ ორცი ⇨ ოცი..

შემდეგ, მაღალ კლასებში, ქართული ენის გაკვეთილებზე, შენ ისწავლი, რატომ ხდება ასე, რატომ იცვლიან ზოგჯერ ბგერები სახეს.




**დავალება** ა) დაშალე ათეულისა და ერთეულების ჯამად:
11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19.

ბ) ჩაწერე რიცხვი, რომელშიც არის: 1 ათეული და 5 ერთეული,
1 ათეული და 8 ერთეული.

გ) რას უდრის: 10+2, 10+3, 10+5, 10+7, 10+8, 10+9?

დ) რას უდრის: 12-1, 12+1, 14-1, 14+1, 17-1, 17+1?

## რიცხვის შევსება ათამდე

შენ უკვე იცნობ 1-იდან 10-მდე რიცხვების მწკრივს. იცი, რომ 9+1=10. რიცხვი 1 9-ს ავსებს 10-მდე. 1-ს ეწოდება 9-ის დამატება 10-მდე. 2 -ის დამატება 10-მდე არის 8. რადგანაც 2+8=10. რას უდრის 3-ის დამატება 10-მდე? დიახ, სწორია, 3-ის დამატება 10-მდე არის 7.




**დავალება** იპოვე 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9
რიცხვების დამატება 10-მდე.

შეეცადე, ალიბეჭდო გონებაში რიცხვის დამატების პოვნის პროცესი.

## ერთნიშნა რიცხვების შეკრება

რას უდრის 5+2 ან 5+3? ამ კითხვებს, ვიცით, შეგიძლია დაუფიქრებლად უპასუხო, მაგრამ, თუ რიცხვების ჯამი 10-ზე მეტია, მაშინ მეტი დაფიქრებაა საჭირო.

მართლაც, რას უდრის 8+7? როგორ გამოვთვალოთ იგი?

— სულ ადვილად, — იცინის ცოტნე, — სახლში სამი მიკროკალკულატორი გვაქვს და მისი გამოყენებაც ძალიან კარგად ვიცი!

იცოდე, მიკროკალკულატორის გამოყენებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს შენს გონებრივ განვითარებას. უმჯობესია, თავად სცადო მაგალითების ამოხსნა. მიკროკალკულატორი პასუხის სისწორის შესამოწმებლად შეიძლება გამოიყენო.

8+7 ჯამის გამოთვლის დროს უნდა ვიმსჯელოთ ასე:

8-ის დამატება 10-მდე არის 2. ამიტომ 7 უნდა დავშალოთ შემადგენელ ნაწილებად ისე, რომ პირველი მათგანი იყოს 2. ასეთი ნაწილებია 2 და 5. რადგანაც 7=2+5, ამიტომ მივიღებთ: 8+7=8+2+5=10+5=15 ე.ი. ჯერ 8 უნდა შევავსოთ 10-მდე 7-დან, შემდეგ კი 10-ს დავუმატოთ 7-ის დარჩენილი ნაწილი.




**დავალება**

გამოთვალე: 9+2, 8+3, 9+4, 6+5, 5+7, 3+9
6+7, 6+8, 8+8, 9+9, 4+8, 7+4

მიღებული პასუხების სისწორე შეამოწმე მიკროკალკულატორის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერმისი





„ჩვენ მომავლის რწმენამ, მომავალი თაობის სიყვარულმა „ჩაგვითრია“ ამ მძიმე შრომაში და ამიტომაც დავარქვით ჩვენს სკოლას „მერმისი“. სწორედ მერმისელებმა უნდა შექმნან საქართველოს ხვალინდელი დღე“, — ამბობენ სკოლის დამფუძნებლები ქალბატონები ქეთევან დოლიძე, ლალი ვაშაკიძე და მანანა მალაზონია.

„მძიმე შრომა“ კიდევ მსუბუქი ნათქვამია. ასეთი სკოლის შექმნა და ჩამოყალიბება, მისი შენარჩუნება, ახლის ძიება, მიგნება, კეთება - ეს კატორღული შრომაა, მაგრამ, რამდენადაც დიდია მიზანი, იმდენად დიდია მონდომება, ენერგია, სურვილი და ძალა. თუ შედეგსაც ხედავ და შრომასაც გიფასებენ, ყველანაირი დაბრკოლება და ჯებირი უმნიშვნელო ხდება.

„მერმისმა“ თავისი მომავლის შენება გაბედული ნაბიჯებით დაიწყო — ახალი „დედაენის“ შექმნა ახალდაარსებული კერძო სკოლისათვის, რომელსაც ისედაც ეჭვის თვალით უყურებდნენ განათლების ძველებური სისტემის მომხრენი, დიდი რისკი იყო, რისკი, რომელმაც გაამართლა.

ამას მოჰყვა I და II კლასის ახალი წიგნები, მშობლიური ენის სახელმძღვანელოები III-IV-V კლასებისათვის, დამუშავდა ათზე მეტი საავტორო პროგრამა.

ახალი სახელმძღვანელოები და პროგრამები გამოცდას „მერმისში“ გადის და შედეგი მოსწავლეთა ცოდნისა და განათლების დონით იზომება. შედეგი კი მართლაც დიდია — მეორე-მესამე კლასელი ბავშვები („მერმისელთა“ შორის ყველაზე უფროსები მეექვსეკლასელები არიან) თავისუფლად აზროვნებენ, წერენ, საუბრობენ.

უამრავი საქებარი სიტყვა ითქვა ამ სკოლაზე, მაგრამ ყველაზე ობიექტური და გულწრფელი ალბათ, მაინც პირველი „მერმისელების“, უკვე მეექვსეკლასელი გოგო-ბიჭების შეფასებაა:

„სკოლა ჩემთვის სახლივითაა, რადგან ჩვენ აქ ხუთ საათამდე ვართ. ეს სკოლა სიყვარულითაა სავსე“.

გიორგი სამუშია



„ ამ სკოლამ ერთმანეთში მეგობრობა და სულ სიკეთის კეთება გვასწავლა. მე ამ სკოლით ძალიან ვამაყობ“.

ანი კობაიძე



კარნავალზე

„მე საქართველოში ყველაზე კარგი, საუკეთესო და თბილი სკოლის მოსწავლე ვარ“.

რუსუდან ჯიქია

მერმისელთა ჰიმნი

ჩვენს მომავალს ვუმზერთ,
მზიანს, ნათელს.
"მერმისელები" ვართ
ვფიცავთ სახელს!

"მერმისი" გვიხმობს,
გვიღებს სიბრძნის კარებს.
"მერმისი" რეკავს
სამერმისო ზარებს!

საქართველოს წინსვლა
თუ გწამთ, გჯერათ,
ცოდნის ზარი გიხმობთ
ყველას, ყველას!



ბავშვები ყოველ კვირას
ექსკურსიაზე მიჰყავთ



შუადღისას სკოლაში ოჯახური
სადილი იმართ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ენვერ ნიჟარაძე

დაიბადა 1946 წ.
ჟურნალს
რედაქტორობდა
1982-1989 წწ.



## სინანული

ეს სიმღერა
შოთასია,
ეს სიმღერა
აკაკისა,
ვისაც ღმერთმა
ჩვენი ერის
წინ გამღოლა
დააკისრა.
ეს ფანდური
ვაჟასია,
ეს კალამი
ილიასი,

რა იქნება,
კიდევ მოგვცა
იმათებრი
შვილი ასი.
ვინც იმათი
ღირსია და

ვინც იმათი
ბადალია,
რა ხანია,
რა ხანია,
რა ხანია
ცად არიან!

## ვიამაყოთ მარადის

ვეფხვისა და
მოყმის
და ბეთქილის
ბალადით,
ჩვენი მველი
მოდგმით,
ვიამაყოთ
მარადის!

უშგულით და
გრემით,
ენგურით
და არაგვით,
ჩვენი ტკბილი
ენით,
ვიამაყოთ
მარადის!

ილორით და
ჯვარით,
მცხეთით,
თბილისქალაქით,
ჩვენი მველი
გვარით,
ვიამაყოთ
მარადის!

მხატვარი გია ლაფაური



**რევაზ ინანიშვილი**
დაიბადა 1926 წ.
ჟურნალს რედაქტორობდა 1989-1991 წწ.
გარდაიცვალა 1991 წ.

# დიდთავა ბიჭი და ცისფერთვალა გოგონა

თოკზე სარეცხი შრებოდა. თოკის ქვეშ პატარა დიდთავა ბიჭი იდგა და თვალს ადევნებდა, როგორ ბერავდა, მაღლა ეწეოდა და ატკაცუნებდა ნიავი



მხატვარი ლაშა სულაკაური

ქათქათა ზეწრებს. გამოიარა ერთმა შავთვალა გოგონამ და იმანაც ყურება დაუწყო ზეწრებს, გამოიარა მეორემ — ჭრელთვალა გოგონამ და იმანაც ყურება დაუწყო ზეწრებს. გამოიარა მესამემ — პატარა ცისფერთვალა გოგონამ და იმანაც ყურება დაუწყო ბიჭს, გოგონებს და ზეწრებს. მაშინ ბიჭი მობრუნდა და ღიმილით იკითხა:

— იცით, აქ რა ხდება? ნიავი ამბობს...

— რაო?! — გაკვირვებით წამოიძახეს შავთვალა და ჭრელთვალა გოგონებმა, ერთმანეთს გადახედეს, მერე დიდთავა ბიჭი და პატარა ცისფერთვალა გოგონაც აათვალჩაათვალიერეს, აქ ჩვენი ადგილი არ არისო, და თავთავიანთი გზით მოკურცხლეს.

დარჩნენ მარტონი პატარა დიდთავა ბიჭი და პატარა ცისფერთვალა გოგონა.

— ნიავი ამბობს... — განაგრძო ბიჭმა, — სად არის ის ლამაზი ხელები, რომელმაც თქვენ ასე გაგაქათქათათო. ზეწრები დედას ეძახიან, გამოდი და უჩვენე ნიავს შენი ლამაზი ხელებიო, დედას კი არ სცალია, თავისი ლამაზი ხელებით ახლა ის ჭურჭელს რეცხავს, მერე მტვერს დასწმენდს, მერე სადილის კეთებას შეუდგება...

პატარა ცისფერთვალა გოგონამ მალულად გამოშალა თავისი სიფრიფანა ხელები, დახედა და სწრაფად დამალა ზურგს უკან. ერთ ხანს ასე იდგნენ გოგონაც და ბიჭიც, ჩუმად. მერე გოგონამ ბიჭს ჰკითხა:

— რა გქვია?

— ადამი.

— მე რომ გავიზრდები, მეც ლამაზი ხელები მექნება, ადამ. ვიყო შენთან?

— იყავი.

და დაიწყო დიდი, დიდი მეგობრობა, და გაგრძელდა დიდხანს, სანამ ნისლივით არ გადათეთრდნენ ის გოგონაც და ის ბიჭიც.

*„დილა“ №9, 1968 წ.*

# თენგიზ ჩალაური

დაიბადა 1940 წ.
რედაქტორობდა
1992-1995 წწ.



## გავეზრდები საქართველოს



მე პატარა ქართველი ვარ -
სისხლით,
ხორცით,
რჯულით,
სულით,
ნურავინ ნუ შემაშინებს
ჩემი ქვეყნის
აღსასრულით.
ცხრაჯერ გულში რომ დამლახვრონ
ცხრა მარტით და
ცხრა აპრილით,
ვერ მიხილონ მომხდურ მტერთან
მორჩილი და თავდახრილი.
სწავლით,
ცოდნით,
სიბრძნით,
რწმენით,
და ზეციურ ზართა რეკვით
ალგეთს ლომად გავიზრდები
მგლის ნაშობი თეთრი ლეკვი!

*„დილა“ №9, 1989 წ.*



## მლიქვნელი ტურა

(იგავ-არაკი)

ლომს მხეცების თავყრილობა ჰქონდა მოწვეული, ის იყო სიტყვის თქმას აპირებდა, რომ ამ დროს ტურამ გადაწყვიტა რაიმე თავისმოსაქონს ვეტყვი, მოველაქუცები და იქნებ წყალობა გამოიმეტოსო.

გული მოიცა, ნაბიჯი წადგა, თავი მდაბლად დაუკრა და მოახსენა: მბრძანებელო, ჩემი თქვენდამი პატივისცემა და უსაზღვრო ერთგულება იმდენად დიდია, რომ სურვილი მაქვს მომავალ არჩევნებს აღარ დაველოდო და წინასწარ სამუდამოდ მივცე ხმა თქვენს მაღალხელმწიფობასაო.

– ახლო მოდი! – უბრძანა ლომმა.

ტურა მიეახლა.

ლომმა მეგობრულად გადასდო თათი მხარზე და ყველას გასაგონად დაიბუხუნა:

– მე თუ ისე დავძაბუნდი და დავგლახავდი, რომ ტურის ასარჩევიც გავხდი, მაშინ შევარცხვინე ჩემი მეუფებაო. – ეს თქვა, ტურას თავში ტორი ჩასცხო და ადგილზე სული გააფრთხობინა.

*„აი ია“ №3, 1984 წ.*

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვზრდით გენიოსს





მშობლებო! ფსიქოლოგთა ეს რჩევები უთუოდ დაგეხმარებათ თქვენი პატარა გენიოსის აღზრდაში:

1. მოთმინებით და პატიოსნად უპასუხეთ ბავშვის ყველა შეკითხვას.
2. დაიმახსოვრეთ: ბავშვთან საუბრისას არ არსებობს აკრძალული თემები.
3. ნუ მოიშორებთ შვილს სიტყვებით „ეს მე არ ვიცი“.
4. არასოდეს დასაჯოთ ისე, რომ თავი დამცირებულად იგრძნოს.
5. მოიმარაგეთ საჭირო წიგნები, ჟურნალები და ბავშვი პატარაობიდანვე მიაჩვიეთ კითხვას.
6. ნუ გაუჯავრდებით ბავშვს არეულობისათვის. თუ მისი უწესრიგობა შემოქმედებით საქმიანობასთან არის დაკავშირებული.
7. ნუ შეაქებთ უმიზეზოდ და არაგულწრფელად.
8.შვილის ჩვეულებრივ წარმატებებს ნუ გააზვიადებთ და განსაკუთრებული ნიჭის გამოვლინებად ნუ მიიჩნევთ. ნიჭსა და მიდრეკილებებზე ლაპარაკი მხოლოდ გარკვეული გზის გავლის შემდეგ შეიძლება.
9. ბავშვის წარმატებების სრული უგულებელყოფაც დიდი შეცდომაა.
10. რაც მთავარია, დაანახვე შვილს, რომ გიყვართ ისეთი, როგორიც არის და არა მისი მიღწევებისთვის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვენიერების და სიცოცხლის დასაბამიერს მრავალჟამიერ!

პირველი ადამიანი, ვისთანაც ჩვილს ურთიერთობა უხდება, დედაა – მისი სითბო და სინაზე, გარეგნული სილამაზე, აკურატულობა და წესრიგიანობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებად რჩება შვილის მახსოვრობაში. არ გეგონოთ, რომ ლამაზად მხოლოდ უცხოთა წინაშე უნდა გამოიყურებოდეთ. თქვენი გარეგნული ხიბლი ყველაზე მეტად შვილს სჭირდება. ნუ მოაკლებთ ამ სიამოვნებას თქვენს პატარას, ჩვენ კი რამდენიმე რჩევას შემოგთავაზებთ.

ლამაზად და კარგად რომ გამოიყურებოდეთ, უპირველესად თავს ჯანმრთელად უნდა გრძნობდეთ. სილამაზე „ჯანმრთელი ცხოვრების წესზეა" დამყარებული. ამიტომ გირჩევთ: მიირთვით ბევრი ხილი და ბოსტნეული, სვით მინერალური წყალი, ივარჯიშეთ, ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და, რაც მთავარია, ეცადეთ ყოველთვის კარგად გამოიძინოთ.

## ხილის თერაპია



იცით, რომელ ხილს მიირთმევდნენ საბერძნეთში ულამაზესი ქალღმერთები? – ვაშლს. ის ყველაზე სასარგებლო ხილია ჯანმრთელობისთვის და სილამაზისთვისაც. ვაშლი ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლას. მასში შემავალი პექტინი ნაწლავების გამწმენდად ითვლება და სისხლძარღვთა კედლებს ამაგრებს. ვაშლში შედის ისეთი ნივთიერება, რომელიც ხელს უშლის ნახშირმჟავას ცხიმად ქცევას. ამიტომ, ვისაც გახდომა სურს, ვურჩევთ კვირაში ერთი დღე ვაშლით განტვირთვას მიუძღვნას. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ყველა სახის დიეტა უკეთეს შედეგს გაზაფხულზე იძლევა.

ატამი ვიტამინების სიუხვით არ გამოირჩევა, მაგრამ სავსეა მინერალური ნივთიერებებით. ზოგიერთი ჯიშის ნაყოფში კი საკმაოდ ბევრია ვიტამინი, რომელიც ხელს უშლის ნაადრევ დაბერებას. ძალიან მწიფე ატმისაგან შეიძლება საუკეთესო სახის ნიღაბი დაამზადოთ: წაისვით ხილის რბილობი სახეზე და 20 წუთს გაიჩერეთ, შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ და ბოლოს ყინულის ნატეხებით გაიწმინდეთ.

აქვე შემოგთავაზებთ ნიღბის რამდენიმე რეცეპტს:

ცხიმიანი კანისათვის: ათქვეფეთ კვერცხის ცილა, დაუმატეთ 1 ჩ.კ. ლიმონის წვენი და გაიჩერეთ 10-15 წუთს.

ნორმალური და მშრალი კანისათვის: ა) 1 ჩ.კ. თაფლი + 1ჩ.კ. ჰერკულესი + 2 ჩ.კ. მშრალი რძე. გაიჩერეთ 20 წუთს.

ბ) კვერცხის გული + 1ჩ.კ. თაფლი. გაიჩერეთ 15 წუთს.

მობერებული კანისათვის: ა) 1 ჩ.კ. არაჟანი, 1 კვერცხის გული + 1 ჩ.კ. ზეითუნის ზეთი, 1 ჩ.კ. სტაფილოს წვენი + 2-3 ჩ.კ. ჰერკულესი.

ბ) 2 ჩ.კ. ხაჭო + 1 ჩ.კ. თაფლი + 2 წვეთი ზეითუნის ზეთი.

ნაოჭებისათვის: გასრესილი პომიდორი + 1 ს.კ. არაჟანი + ცოტა ჰერკულესი.

## გამოიძინეთ!

კარგად გამოძინება დიდხანს ძილს არ ნიშნავს. მთავარია, ძილი, ორ-სამ საათსაც რომ გრძელდებოდეს, სრულყოფილი იყოს.

თუ მარტო ერთი ოთახი გაქვთ, გირჩევთ, ტელევიზორი სამზარეულოში გაიტანოთ. ძილის წინ ოთახი გაანიავეთ. მოძველდა აზრი, რომ საძინებელში სიგრილე უნდა იყოს. როცა ოთახში ტემპერატურა 20 გრადუსზე დაბლა ჩამოდის, ორგანიზმი ენერგიას გასათბობად ხარჯავს და თქვენც მოუსვენრად გძინავთ. დღის მეორე ნახევარში უარი თქვით კოფეინზე, ალკოჰოლზე და ნიკოტინზე. ძილის დროს კანის უჯრედები ორჯერ უფრო სწრაფად აღდგება, ვიდრე მთელი დღის განმავლობაში. ეს პროცესი შეგიძლიათ სპეციალური ღამის კრემებით გააძლიეროთ.

ფსიქოლოგები გვირჩევენ, ყოველ დღე, 10-15 წუთს ვუყუროთ ბუნების რომელიმე მოვლენას: ცაზე ღრუბლების მოძრაობას, მზის ამოსვლას ან ჩასვლას. ამ დროს უმჯობესდება ნივთიერებათა ცვლა და მცირდება ადრენალინის გამომუშავება. ეს ათი-თხუთმეტი წუთი სიმშვიდეს მოგგვრით, ღამით ტკბილად დაგეძინებათ და მეორე დღეს მშვენიერ გუნებაზე იქნებით.

## სილამაზის ცხრა თვე!

ქალები ფეხმძიმობისას სხეულის ჩვეულ ფორმას კარგავენ. სუქდებიან, მოუხერხებლად მოძრაობენ, მძიმედ დადიან. ბევრი ფიქრობს, რომ ამ მდგომარეობაში სილამაზის და სიკოხტავის შენარჩუნება შეუძლებელია და საზოგადოებაში ყოფნას ერიდება. მომავალო დედებო! ჩაიხედეთ სარკეში და მიხვდებით, რომ ფეხმძიმობა სილამაზეა. სიკოხტავისათვის კი მხოლოდ აკურატული ვარცხნილობა, მანიკური, მოკრძალებული კოსმეტიკა და ღიმილი გჭირდებათ.

*გვერდი მოამზადა ხათუნა ქელბახიანმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გილოცავთ დაბადების დღეს



თამთა ბარბაქაძე, თამუნა ბრეგვაძე
თიკო გაბრიჭიძე
ლევანიკო გედევანიშვილი
გიორგი და თამარ გელაშვილები
ანი გორგაძე, თორნიკე დონსოვი
თათია ვაჩნაძე
ეკატერინე ზაზუნაშვილი
ნათია თენეიშვილი
ანა და ელენე იაკობიძეები
ლერი ინდაშვილი
ნუციკო კოხრეიძე, ნინო კუხაშვილი
ანა და მალხაზ ლაგვილავები
სოფო ლომაძე
ლაშა მაისურაძე
გვანცა მდინარაძე
ნიკა მესხიშვილი
ქეთი პირველი, სალომე სიგუა
გოგა და გუჯი სინატაშვილები
ელენე და ვატო ფაჩულიები
ნიკა ქალიაშვილი
გვანცა ქართველიშვილი
გვანცა ქისტაური
ალიკა და გოგა ჩატაევები
თამთა ცოცხალაშვილი
სოფო წიკლაური
საბა ხიდეშელი

მთავარი რედაქტორი დოდო წივწივაძე
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, გიორგი როინიშვილი, ნანი კაკაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური
ყდაზე ნახატი: თეა მიქაიასი
დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში
მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30 გამოდის 1904 წლიდან
ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი, ხელმომწერთათვის 2 ლარი